

თეატრი

№ 34

საყოველ-კვირბო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

№ 34

24 აპრილი

გამომცემა ყოველ კვირას

1886 წელს.

ესი გაზეთი „თეატრი“-სა ერთის წლით..... 5 მს. Xსხვა წლით... 3 მს. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქც. კონტორაში ან წინასწარულ ქარვას. ფოთში ბ-ნი ზესარიას კაფანდისთან.

ცალკე ნუმერი გაზ. „თეატრი“-სა ღირს 15 კპ.

ისყიდება: თბილისში: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, შავერდოვის სააგენტო კონტორაში, ალიხანოვის პაპი-როზის მაღაზიაში, ხიდის ყურთან. ქუთაისში კილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკმახერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორექსიონდენციები, ლექსები და სხვა წერილი წერილები თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა შესწორდება.

რედაქცია უპირჩილესად სთხოვს ბ-ნი წერილების ავტორთ სტატიების გარეგეთ იყვნენ დაწერილი.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ ერთს თვეს. სტატიების უკან გაგზავნას რედაქცია არ კის-რულობს.

ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს ავტო-რის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисть. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“ Галерея быв. Артирум № 110.

თეატრის კვირა

წერილობანი თავ-მოყვარება და მსხვილობანი უმეტრება.— ღირს თუ არა „რუსთველის რუსთველობაზე“ ლაპარაკი?—მაგალითი ჩემის ულოგიკოსისა.—სასაცილო ამბავი, თუ რომ სამწუნარო არ იყოს.—უწმინდური გაზეთი არა-წმინდასვე ხელში.—

მე შევცდი და ჩემს შეცდომას გამოუტენით ვამხედ მკითხველების წინაშე. დიად, შევცდი და ვწუხვარ კადეც რომ შევცდი. მე მეგონა, და ანუ ვცდილობდი მეგონებოდა, რომ ბ. ანტ. ფურცელაძე თითონვე შეჭკრთებოდა, როცა თავის ბავშვურ თხზულებას—ღეგენდას შოთა რუსთ-ველზე ცალკე წიგნად ნახავდა. მე მეგონა რომ იმისთანა „ხანიერს“ ლიტერატორს, რომლის 25 წლის ლიტერატურაში მოდვაწეობის იუბი-

ლის მალე იდღესასწაულებს კომიტეტი შემდ-გარი ბ. ზ. ჭიჭინაძის თავმჯდომარეობით, ეუცხოებოდა, როდესაც წაიკითხავდა. რაც უწე-რია ამ ოცი, ოცდა ხუთის წლის წინად და რა-ისათვისაც ჩვეულებრივ მცირე-წლოვან ავტორს თავზე ხელს წაუსმენ ხოლმე და ეტყვიან: „ბა-ქალა, ბაქალა, ჩემო პატარაო!“

ასე მეგონა, ამითი ვნუგეშობდი და გულ-წრფელ საუკედურს ვუთვლიდი ამ წიგნის დამ-ბეჭდს. თურმე ნუ იტყვიოთ, ეს თხზულება, რო-მელსაც მესამე კლასის გიმნაზიელიც კი ხელს არ მოაწერს, რომ სახელი არ შეირცხვინოს, გამოცემულია ბ. ანტ. ფურცელაძის სრულის თანხმობით, თუ არ იმისვე თაოსნობით. მე გაკვრით შევეხე ამ თხზულების დირსებას და უდროოდ—გამოცემას და ბ. ფურცელაძეს ეს ისე სწყენია, რომ ამხედრებულა მრავლად ტან-ჯულ და გვემულ ქართულენაზედ, რომელიც

ყოველისფერს იტანს, რასაც კი „ავტორნი“ სხვა-და-სხვა ფერისა, გემოვნებისა და ღირსებისა ანდობენ არა ნაკლებ მრავლად ტანჯულს და გვემუღს თეთრს ქაღალდს და ერთი ხუთად გვიბრუნებს იმას, რის თქმაც გავბედეთ იმის ბროშიურაზედ.

თეთრს ქაღალდზედ არა-ნაკლებ მრავალ-ტანჯულო მკითხველო! შეისმინე აჯა ჩემი, გად-კითხე წერილი ბ. ანტ. ფურცელაძისა, დაბეჭ-დილი ამავე ნომერში და გულ-წრფელად მი-ხარ, რა იგრძენ ამ იერემიადის წაკითხვის შემ-დეგ? შენთვის ძნელია ამ კათხვაზედ ვასუხის მოცემა, განა? ან იქნება ცუდს ვერას უბედავ კერვს ჩვენის ბულვარ-ტუკუნია ახალგაზდობი-სას, რომლის თაოსნობითაც „ჰამლეტის“, მთარგმნელს მიართვეს მისი სურათი და ოქროს ტარში მოწყობილი კალამი? რახან შენ ვერ უბედავ, ვატარა ყურადღება მიწილე და ნუ და-იზარებ ძძვის მარჯალიტისაგან გარჩევას. ეს გა-რჩევა ბრძინათვისაც ძნელი არ არის.

ლიტერატურულ განებივრებას დაჩვეული ბულვარ-ტუკუნია ახალგაზდობისაგან და ბ. ზ. ჭიჭინაძისაგან გენიოსად მიჩნეული ბ. ანტ. ფურ-ცელაძე მაღალ ფარდებიდამ ბძანებს თავის წერილში: „ამ დღეებში მომაჩერეს ხელში (აღე-ბასაც ადარ კადრულობს!) თეატრის 32 №, სა-დაც იყო რავდენიმე სიტყვა შესახებ ბროშურისა „რუსთველი და იმისი ცოლი“. მე სწორე მოგახსენო, არამც თუ ვასუხი ამ შენიშვნისა, თვით წაკითხვაც არ მსურდა (ნება მიბოძეთ არ დაგიჯეროთ. იქნება წაკითხვის შემდეგ ადარა გსურდათ* გადაკითხვა, მაგრამ რომ წაკითხვის წინად, ამის სურვილი დიდი გექნებოდათ, ვა-ტოსან სიტყვაზედ მენდეთ). ჩვენმა კრიტიკოსუ-ბის იხე შემაჩვიეს ლანძღვა-გინებას, რომ ვიცო-დი აქაც ამის მეტი არა იქნებოდა-რა. (მამ ერთ-გული მკითხველი იქნებით ბ. ზ. ჭი...ის „წინა-უკანა სიტყვაობებისა, სადაც თქვენი გენი-ოსობა საკვეყნოდ გამოცხადებულა) მაგრამ მე-გობართ მაძულეს წაკითხვა და გარემოებამ ვა-სუხი... (წვეული გარემოება!) თუმცა უნდა კი ვთქვა, რომ დიდი საბასო არც ეს სადაო სა-ქმეა.“

მასუკან ბ. ანტ. ფურცელაძე გვიწყრება იმის გამოძკემელთ გაკიცხვისათვის; იმეორებს

კიდეც „ცხადია რომ რუსთველობა უოფილა ხელობა და ეს ხელობა ჰქონია შოთა რუსთა ველს“ (ცხადია რომ ბ. ანტ. ფურცელაძე გე-ნიოსია, რა კი ზ. ჭიჭინაძე ამას ამტკიცებს). ულოგიკობას მე რომ მწამებთო, ბძანებს მასუკან ბ. ანტ. ფურცელაძე, რატომ თქვენს ლოგიკას კი არ დააკვირდითო. თუ ხელობით მოშაირე იყო რუსთველი, მამ როგორდა მიჰყო ხელი ლექსების წერასაო და ბოლოს კი ეს აზრნი* გა-მოჰყავს, რომ მთელი ეს საქმე ლაპარაკად არა ჰქვირდაო.

შევჩრდეთ, რადგან თავი ადარა მაქვს ეო ველ იმ აზრთა(?!) გარემოებისა, რომელნიც ბ. ანტ. ფურცელაძეს ყალბ მიძივსავით აუსხავს ჩვენის გაზეთის სტრიქონებზე. მერე გამეორება რა საჭიროა, ან თავს რისთვის ვიწყებებ, რო-დესაც მკითხველს სიტყვა ჩამოვართვი ამ ვასუ-ხის წაკითხვისა. მამ შევუდგეთ პირდაპირ სა-ქმეს:

წედანაც ვსთქვი რომ ბ. ფურცელაძე მკვი-დრად ადგას თავის აზრს და ბძანებს, თუ კი ერისთაობა, თმოგველობა, შავთელობა ხელო-ბას ნიშნავს, რატომ რუსთველობა კი ხელობა არ იქნებოდაო. ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ ბ. ზ. ჭი...ის გენიოსო, რომ არც ერთი თქვენ-გან ჩამოთვლილი სიტყვა ხელობას არა ნიშ-ნავს და მამსადამე, ცხრაჯერ მამსადამე, რუს-თველობაც ხელობა არ იქნებოდა. ერისთაობა თანამდებობა იყო და არა ხელობა. ეს ამგარაა ეველა თვალე-ახილულისათვის და არ ვიცი თქვენ განგებ თვალებს რადა ჰხუჭავთ. ან დაუ-კვირდით მინც იმ ორი ტაევის აზრს, რომელ-ნიც «ვეფხვის-ტყაოსნის» წინასიტყვაობაში (ჭი-ჭინაძის წინასიტყვაობა არ გეგონოთ) ერთმანეთს მისდევენ და ასე იწყობიან: „მე რუსთველი ხე-ლობითა ვიქმ საქმესა ამად არი“... ნუ თუ მამინ ეს მინც ამგარა არ იქნება რომ რუსთველს ვერ გაუძლია დაფარვა და გამოუცხადების მის გულ-ში მწვაავად შეჩვეული გრძნობა—სიყვარული თამარისადმი, მაგრამ თითონვე შეპერთაღა, ცდილა სიტყვის გადაკვრას და იმით გაუმართ-ლებია თავი, რომ მე ხელობით მოშაირემ ეს ამბავი სპარსულიდამ ქართულად გადათარგმნი-ლი „კვოვე და ლექსად გარდავთქვი და ჩემმა ხელ-მქნელმა დამმართოს, ლაღმა და ლამაზ-

მა ნებია“: ეს ადგილი შესანიშნავია „ვეფხვის-ტყაოსნის“ ისტორიისათვის. ამჟამად, შინაარსის სპარსულიდან გადმოთარგმნავ რუსთველს იმიტომ შეუთხზავს, რომ ორის სტრიქონის წინადაწამომცდარი სიტყვა გაექარწყლებინა და არავისთვის არ მიეცა საბუთი ეთქვათ, „ვეფხვის-ტყაოსანში“ თავისი და თამარის სიყვარული ასწერათ. ხელობით მომპირობაზე, ან ხელობით პოეტობაზედ სიტყვის ჩამოგდებასაც იმაზე მეტი მნიშვნელობა არა აქვს-რა.

ძველებური თქმულება: „იუპიტერო, შენ სწერები, მამასადაძე სტუეი“ შეიძლება ბ. ანტ. ფურცელაძეს მივაწერათ. ჩემმა უბრალო, თითქმის უმანკო შენიშვნამ ისე გააწიწმატა ბ. ფურცელაძე, რომ მოიწადინა, რაც უნდა მოხდენოდა, ულოგიკობაში დავეჭირე და აი დამიჭირა კიდეც. „თუ ხელობით მომპირე იყო, მამ როგორ-და მიჰყო ხელიო?“ ბძანებს ბ. ფურცელაძე; დაიად, სწორედ ასე ბძანებს, ამ სიტყვებით და ამ ნიშნებით. ე. ი. თუ ხელობით ვარ რამე, ამავე საქმეს ხელს ვერ მივჰყოფ: თუ ხელობით დურგალი ვარ, სახლის აშენებას ხელს ვერ მივეუფ. თუ ხელობით მოლექსე ვარ, ლექსების წერას ხელს ვერ მივჰყოფ; თუ დამფასებელი ვარ, ადგილ-მამულის დაფასებას ხელს ვერ მივეუფ? განა, ბ. ფურცელაძე? ასე გამოდის თქვენის ლოგიკით და ჩემის ულოგიკობით!!

კვლავ გირჩევთ, ბ. ფურცელაძე, როცა თქვენზედ დაწერილს „მოგაჩეჩებენ“ და მეგობრები გაიძულებენ წავითხვას და გარემოება ვასუსხს, დინჯად და მოფიქრებით უგოთ ხოლმე ეს ვასუსხი (თუ კი იკადრებთ), თორემ შესაძლოა ბუღვარ-ტყეპნიებისაგან დადგმული მარავანდედი თვით ბ. ჭ...აც ადარ იწამოს.

ბოლოს ერთს რასმე ვიკითხავთ კიდეც: თუ კი, როგორცა ბრძანებთ, ეს ამბავი ღაპარაკად არა ღირდა, რადად გააჭრედე თქვენი წილობილს და რადად ამოართვით სული ამწყობებსაც და მკითხველებსაც? შეიძლება ესევე მკითხონ მე, მაგრამ მე ვასუსხი მზადა მაქვს. ჩემის აზრით ეს ამბავი თუმცა საპირეზედ სასაცილოა, მაგრამ საჩუქად მწარე ცრემლები უდევს. ან როგორ არ ვიტიროთ, როდესაც ჩვენის ლიტერატურის მდელო დვარძლიანი ბაღანით

ივსება და ერთს უვავილს ვეღარა ნახავთ, რომ ან სუნით დაგვატკბოს, ან ფეროვნებით. ნიჭიერები დაჩუმიდენ და ბაზარი მხოლოდ ზ. ჭ....თანა გამოძკემლებს-და დარჩენიათ. ეძებ ამ ფირფიტას სიმსოო წიგნებში საზღოს ჭკუის ან კეთილ-გემოვნებისას და გულის სიამე ეფინება, როდესაც რომელიმე ასე თუ ისე ცნობილი ლიტერატურის სახელს შეხვდები. და როცა შინ მოხვალ და ჰკითხულობ, რწმუნდები, რომ „ცნობილი ლიტერატორს“ წვრილმანი თავმოყვარეობამეტი ჰქონია, ვიდრე უველა ცნობილ და უცნობო ლიტერატორებისათვის საჭირო ცოდნა და განვითარება.

სამწუხაროა, რომ ჩვენს ლიტერატურას ცხოველს-მოფელი ძალა აკლდეც; სამწუხაროა რომ ბ. ანტ. ფურცელაძე ანტი-კრიტიკოსობდეს და ბ. ზ. ჭ...ძე გენიოსობის ტიტულებს არიგებდეს; სამწუხაროა რომ არა წმინდა ხელი წმინდა საქმეს ხელსა ჰკიდებდეს; სამწუხაროა რომ... მაგრამ რა არ არის სამწუხარო, თუნდა ის, რომ ეხლა შენ გული სხვაზე გედრინება, ჩემო საყვარელო მკითხველო და მე ვინ-იცის რაზე არ უნდა გელაპარაკო. მაგრამ რასა იქ, მასლას... თქვა ერთმა ჭკვიანმა კაცმა და რამდენიმე წერტილი დაუსვა. ჩვენც ეს წერილი წერტილებით ვავათავოთ.

ო. რიოლა სიტყვა თეატრის მსახურებელთაზე.

*Да будет сцена тьмъ, тьмъ нъкогда была:—
Святилищемъ. Трагедія для насъ,
Должна быть темнымъ зеркаломъ, въ которомъ
Народъ узреть бы вѣчные законы...
Да никогда не будетъ здѣсь жрецомъ.
Кто самъ пренебрегалъ когда нибудь
Путиами Божьими, и собственнымъ дьямъ
Не зналъ ни мръ, ни оцънки впрной.
Тотъ только жрецъ, кто съ дѣтски чистымъ
сердцемъ
Способенъ взятъить все дѣла людскія...
Гйбелъ
...Полемамъ мысли смьлимъ
Въ иной прекрасный мръ толпу увлекъ театръ
Среди „бойцовъ былыхъ“, и въ сердце очерствѣломъ
На мръ онъ пробудилъ мечты минувшихъ мтъ.
Сунбернъ*

ეს გრძელი სიტყვა იმიტომ ამოვწერეთ, რომ ამ შემოყვანილი სტრიქონებში ნათლად იხატება ის,

რაზედაც ჩვენ ლაპარაკი გვსურს. ბევრი უთქვამთ — უწერიათ, ბევრს ამბობენ — სწერენ და უფრო ბევრსაც იტყვიან თეატრის მნიშვნელობაზე და მთქმელნი — დამწერნი მართალნი ყოფილან, არიან და იქმნებიან კიდევცა.

ვინ არ იცის, რა საოცარი ზედ-მოქმედება, რა ღიღი მნიშვნელობა, რა შეუფერხებელი გაღვინა აქვს საზოგადოდ მთელს კაცობრიობაზე და კერძოდ ცალკე ეროვნებაზე პოეზიას და ხელოვნებას. ისე რა ზრდის და ასაზრდოებს ადამიანის და საზოგადოების სულიერს მოთხოვნილებას, ისე რა ამაღლებს და აცხოველებს კაცს, როგორც პოეზია და ხელოვნება? ეს ორი საუნჯე, განსაკუთრებითი კუთვნილება მეტყველთა, ერთობ ღვთიურის ნაპერცკალით ათბობენ და ზეციურის სხივით ანათებენ ადამიანის ბნელს და მოკლე სიცოცხლეს, მისი სიმწარით და ნალევლით სავეცხოვრებას... ვისაც ეს არ სჯერა იგი მაზინჯია!

თუ პოეზია და ხელოვნება ასეთი ძლიერი მომქმედნი არიან ეროვნობის დღევრძელობისა, მაშ რა-ღა უნდა იყოს თეატრი, ეგ ყოველგვარის ხელოვნების გვირგვინი? ჩვენ ისეთი ძლიერი და სრული მომქმედნი ადამიანის აღზრდა-განათლებლისა არა ვიცით-რა, როგორც თეატრი, როგორც სასცენო — დრამატიული ხელოვნება.

თეატრში, სცენაზედ თავს ერთად იყრიან ყველა ხელოვნებანი: პოეზია, ლიტერატურა, მუსიკა, არხიტექტურა, მხატვრობა, სქულპტურა. აი ის ხუთი მომქმედნი ძალა, ხუთი ლომ-დევნი, რომელნიც შეადგენენ ერთს სხეულს, ერთს კერძო ქვეყანას — თეატრს.

თეატრში სცენიდან ჰალაღდებენ ყველა ნათელ-ცხოველ აზრებს, სცენიდან ჰგმირავენ ბიწიერებას, სცენიდან ჰორგუნავენ ბოროტს, სიმდაბლეს.

დრამა ხელოვნური ცხოვრებაა და ამ დრამის უკიდურესი წერტილები: ტრადედია და კომედია ალაყვარდოვანებს ხალხის სიბნელით ძღვევა მოსილს გონებას, არბილებს მის გაკვრპებულს გრძნობებს, გაქვევებულს გულს.

როდესაც სცენაზედ ორი-სამი საათის განმავლობაში მაყურებელთ თვალწინ ფართოდ და ნათლად იშლება რომელიმე გამოჩენილ ნაწარმოების სიმდიდრე, როდესაც სცენაზედ სახიერად მიმოძრაობენ ჰეკა და ზნეობა, როდესაც ხელოვნური წარმოდგენისაგან აღზნებული და მედგრად გამოწვეული სულის და გულის თქმანი, აღულებულ წყალსავე, ჩუხჩუხობენ ადამიანის «მე»-ში, როდესაც გრძნობა შიშისა და შესაზარისა, როდესაც გრძნობა სიმზიარუ-

ლისა და თავდაუქერელის სიცილისა, როდესაც გრძნობა დიადობისა და თავ-განწირულობისა მაყურებელზედ ჰეკა-ქუხილივით რიგ-რიგად ზედ-მოქმედობენ, როდესაც ამ ურიცხვი გრძნობათაგან წარმოვლინებული ცხოველ-ნათელი აზრები ათას ნაირს კითხვებს აღვიძებენ ადამიანის გონებაში და ათას ნაირადე აქლერებენ მისი გულის სიმებს, მაშინ, უშიშრად შეგვიძლიან ვსთქვათ, კერძოდ ყოველი კაცი და საზოგადოდ მთელი ხალხი, მთელი ეროვნება წარმატების გზას ადგია და მაშასადამე მისი სვე-ბედი, დღევრძელობა და მომავალი ცოტად თუ ბევრად მის ხელთ არის.

ღიახ, ჩვენ დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ თეატრს, და ვინც თეატრს უყურებს როგორც დრო-გასატარებელ კლუბს და საქეიფო ყავახანას, იმას ცხოვრებაში წილად ქალაჩუნობა რგებია.

უთეატროდ ვის ეცოდინებოდა შექსპირი, შილლერი, მოლიერი, გეტე, ბომარშე, კალდერონი, ლესსინგი, კორნელი, რასინი, ლოპოდევეგა და სხვა გამოჩენილ დრამატურღთა არსებობა? მხოლოდ თეატრის წყალობით მრავალი წარჩინებულ მწერაღთა და გენისთა აზრები, მათი იდეაღები, ზნეობრივი ლტოლვიღებანი და ღიადი სურვიღები ხალხის უმრავლესობისათვის გასაღებია, ადვილი შესაღებია.

მართალია, წიგნი და განათლება ბევრს აძლევს საშუალობას უთეატროდაც გაიზიაროს დრამატიული მწერღობა, მაგრამ ნუ თუ ასის, ათასის და თუნდაც ათი ათასის ცოდნა, საერო — საქეიფო ცოდნას და განათლებას შეადგენს? ხალხის, ეროვნობის განათლება და მისი დღევრძელობა გამოიხატება სანერო განვითარებით, იმ საგნის საერთო სარგებლობით, რომელიც მხოლოდ რამდენისავე პირის საკუთრებას შეადგენს. ესეც რომ არ იყოს, განა ოთახში წაკითხული დრამატიული ნაწარმოებღი და სცენაზედ ნახული ერთი და იგივეა? სცენის საპატიო მნიშვნელობა და მრავალ-მზროვანი უპირატესობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ მაყურებელი ყოველისფერს ჰხედავს ნათლად და სახიერად. ერთის სიტყვიტ წარმოდგენის დროს ადამიანის უმთავრესი ორგანოებღი დამოუკიდებელს მონაწილეობას ლებუღობენ იმ შთაბეჭდიღებაში, რომელსაც აძლევს მათ სცენა, ხელოვნური წარმოდგენა ხელოვნურის ცხოვრებისა. ხშირად მაყურებელი სრულს დავიწყებაში შედის: მას ავიწყდება ყოველისფერი დღეადმიწაზედ, იგი სცოცხლებს იმ ცხოვრებით, რომელსაც სცენაზედ არდგენენ; იგი სუნთქამს იმ ჰაერთ, რომელიც პიესაში ტრიაღებს, ჰხარობს და იტანჯება იმ სიხარუ-

ლით და ტანჯვით, რომელსაც სცენაზედ არღვევენ.

თეატრისთანა სრული ილიოუზიის მოცემა არც ერთს ხელოვნებას არ შეუძლიან და მიტომაც ვამბობთ, რომ თეატრისთანა ძლიერი მომქმედი არა არის-რა.

თეატრი რომ არ ყოფილიყო კაცობრიობის ისტორიაში ისეთს სიბნელით და უმცერებით ძლევა მოხილს ფურცლებს შევხდებოდით, რომლის განათლება შეუძლებელი იქნებოდა. ყველა ის ცხოველ-ნათელი, ჰუმანიური და საგანგებო აზრებთა გროვა, რომლით ღღეს კაცობრიობა სარგებლობს, უთეატროთ უღრამატიულ ხელოვნებთა სრულიად გაუფებარი დარჩებოდა გაუნათლებელი ხალხისათვის, მეტადრე მათთვის, რომელნიც მთელს თავიანთ სიცოცხლეს განუწყვეტლივ ჯაფაში და დლიურის სარჩოს ძებნაში ატარებენ და მაშასადამე შეადგენენ იმ უმრავლესობას, რომელსაც ეწოდების «მუშა ხალხი». ვერც ერთი შესანიშნავი და სასასრგებლო წიგნი, ვერც ერთი უმჭერ-მეტყველესი სატყუა საზოგადო მოღვაწისა ვერ მისცემდა ხალხს იმას, რასაც აძლევს მას თეატრი, რასაც აძლევს მას სასცენო—ღრამატიული ხელოვნება!

თეატრში ხალხი პოულობს და თანაც ისაკუთრებს ჭკვა-ზნობას, სულ-გრძელობას, გულ-უხეობას... საკმარისია დასახელოს კაცმა ის ადგილები, სადაც ხალხი უმეტესად ატარებს თავის თავისუფალს დროს, სადაც იგი ეძებს სიამოვნებას და სადაც პოულობს კიდევაც, რომ შეუცდომლად-გადაჭრით აიწონოს და დაიფასოს იმ ხალხის, იმ ეროვნების გონებრივი და ზნეობრივი საწყაო, და არამც თუ მარტო დიფასოს ხალხის აწ-მყო ვინაობა, არამედ შესაძლებელია კაცმა უწინასწარმეტყველოს კიდევ ხალხს მისი მომავალი თვისის ავ-კარგიანობით მისის შედეგით. ვიმეორებთ, თეატრს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხთა, ეროვნებათა განვითარებაში, მათი ზნეობრივის ძალ-ღონის გარაკცევაში, ხოლო ერთის პირობით. თეატრი მაშინ ასრულებს თავის მიღალს დანიშნულებას, მაშინ აღწევს თავის დიდს საგანს და საპატიო განზრახვას, როდესაც თეატრი ხალხით-მაყურებლით გაქვდილია. ამისათვის კი საჭიროა, რომ თეატრი ხალხს-მაყურებელს იზიდავდეს. მაგრამ რა ღონის ძიებით, რა საშუალებით მიიზიდოს თეატრმა მიყურებლები? ამის პასუხი ადგილია: თეატრმა უნდა გადტყვეს მოახოვნილებად, როგორც პური და წყალი, როგორც ჰაერი. მაგრამ აქ მეორე კითხვა წარმოსდგება: როგორ უნდა გადტყვეს თეატრი ისეთი აუცილებელი მოთ-

ხოვნილებათ, რომ ჰაერს შეედაროს? არც ამის პასუხია ძნელი. ყოველს მოთხოვნილებას, ყოველს საჭიროებას თავდა პირველად საწყაოდ უნდა ჰქონდეს გემოვნების, ჰგრძნობა და ამ გრძნობის დაფასება, ან უკეთ რომ ესთქვათ, კაცმა უნდა იცოდეს ფასი იმ გემოვნებისა რომელსაც ლებულობს იგი; ყველი იქნება ის თუ პური, ლენო შარბათი თეატრი თუ სხვა რამ ვასართობი, შესაქცევი რამე—ხოლო ფასი მაშინ აქვს საგანს, როდესაც ყოველივე ის, რასაც თხოულობს კაცი, კარგი და მოსაწონია. თეატრის ვარგისობა მდგომარეობს იმაში, რომ წარმოდგენები ჯგროვანად იმართებოდეს, პიესები საუცხოვო და არტისტების თამაშობა ხელოვნური იყვეს, ერთის სიტყვით თეატრი უნდა იყვეს მოსაწონი და მხოლოდ ამ შემთხვევაში თეატრს დაედება ფასი, გარდაიქცევა მოთხოვნილებად.

თეატრი არის ტამარი ხელოვნებისა და არა მარტო ერთის რამე ხელოვნებისა, არამედ ყველასი ერთად. თეატრში თავს იყრის ხალხის ძლიერება, ნიჭი, დიაღობა და მრავალი სხვა თვისებანი ეროვნებისა. ამიტომაც თეატრის მსახურნი, ან როგორც ამბობენ, მელპომენის ქერუმები, უთუოთ უნდა იყვნენ ნიჭიერნი, განვითარებულნი და ამასთან ნამდვილი შრომის მოყვარენი—დაულალენი მუშაკნი, რომ შრომით ამ მძიმე საქმეს წინ ეწეოდნენ, რომ ნიჭით ხელოვნებას სულს უღვამდნენ, გონების ნაყოფს ხალხისას ფრთებს ასხამდნენ.

როგორც წინეთ თქვით თეატრი ფრიად სასარგებლო მოგონილებაა ადამიანის მეცადინეობისა, მაგრამ ამასთან არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ რაოდენადაც თეატრს და სასცენო ხელოვნებას სარგებლობის მოტანა შეუძლიან ხალხისათვის, იმდენადაც სხვა შემთხვევაში და მიმართულებაში, შესაძლოა დიდი ზარალი მისცეს ხალხის ზნეობრივს სიმრთელეს, მისი გონების საგანძვს: სცენა მანებელია მაშინ, როდესაც იმის მაგიერ რომ ბიწიერება და სიბოროტე სთელოს და ჰვამის, იგი ელაქტუნება ბოროტებას, ჰვარავს სიყალბეს; როდესაც თეატრი ისეთის სამოსელით და სამკაულით ირთვება, რომელიც ხელს უწყობს პირუტყულს ინსტინქტებს, როდესაც გარყენილობას და მრუშობას აზვიადებს; სცენა საწამლაია ხალხისთვის, როდესაც იგი ართობს და ანაზებს საზოგადოების სამარცხენო ჩვეულებათ; თეატრი ამხინჯებს ხალხის გონებას, აჩლუნგებს მისი ჭკუის სიმახვილეს, როდესაც ცხოველ-ნათელის აზრების მაგიერ, სცენილამ გაისმის გაცვეთილი ოხუნჯობა, მტყნარი აზრების შხაა-შხუბი; სცენა ჰყრნის

ხალხის ზნეობას, როდესაც წრფელის და პატიოსანის გრძნობათ მაგიერ, სიცრუეებს და სიმუხტლეს რჩება სცენაზედ ბურთი და მოედანი; ხალხის ღღერძელობა შუა გზაზედ სჩერდება და ხშირად უკანაც იწევს, როდესაც ნიჭის და შრომის მაგიერ, თეატრში ბინას იმკვიდრებს სიზარზმაცე და უნიქობა.

ყველა ამ ზემო თქმულის სენის ასაცდენლად საჭიროა, რომ თეატრის დროშა ხელთ ეპყრას ყოველისფრით განვითარებულს და სანდო პირს, საჭიროა რომ თეატრის ლამპარი დაუშრეტლად ენთოს იმ კაცის ხელში, რომელიც გამსჭვალულია სიყვარულით საზოგადო საქმისადმი; საჭიროა აგრეთვე რომ პიესები, დრამატული თხზულებანი მდიდარნი იყვნენ შინათავანის სიმართლით, ნათელის და ცხოველის დედა-აზრით, და ყოველის ფრით უზენი და შვენიერი გარეგნულის შემუშავებით; საჭიროა რომ არტისტები ღირსნი იყვნენ თავიანთი მოვალეობისა: ნიჭიერი და შრომის მოსიყვარულენი — ამ შემთხვევაში, და მხოლოდ მაშინ, თეატრი შეასრულებს თავის დანიშნულებას, მხოლოდ მაშინ გამართლდება ის მნიშვნელოვანი ფრაზა რომ “თეატრი სკოლაა“.

ამიტომ ისინი, ვისიც ჯერი არს იზრუნონ ჩვენის თეატრის დაწინაურებაზე, მოიკრიფონ ყოველივე თვისი ღონის ძიება, ეცადონ ყოველის სულის სახსარით, რომ თეატრს — ამ ამოზრდელ-განმნათებელს მომქმედს ხალხისას — ხელი გაუმართონ, ზეზე წამოაყენონ. თეატრის დაყენება ჯეროვან გზაზედ არც ისე ძნელია, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. თუ მოვიგონებთ, რომ თეატრი ერთი და იმავე დროს გასართობიც არის და სკოლაც, მაშინ აშკარად დაერწმუნდებით რომ მისი აღორძინება მეტად ადვილია. — და თუ დღეს თეატრი ცარიელია და საზოგადოება «ვაზებში» ორთა ქალებში და სხვა-და-სხვა კლუბებში მწვანე სტოლების გარშემო ატარებს დროებას, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საზოგადოება გულ-გრილად ექცეოდეს თეატრს, ან არ ესმოდეს მისი მნიშვნელობა, არამედ იმას-რომ თეატრი საზოგადოების მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, არა ძლევს იმას, რასაც იგი თხოულობს თეატრისაგან....

ამისთანა დროს, რა დროშიაც ეხლა ჩვენა ვართ, თეატრის და წარმოდგენის მსურველნი ერთი-ორად უნდა მოიპოვებოდეს, რადგან ამ სრულს მყუდროებაში აღამიანი მხოლოდ თეატრში ეძებს იმას, რაც მის გარეშემო არ არის: ესე იგი, სიცოცხლეს, ცხოველს მოძრაობას, იმედებს, იდეალებს, გულის თქმის პასუხებს...

ვალეო — ია.

ხელოვნური პიესა

ჩიტი

ნეტავი ჩიტსა ბედნიერს
დაჭფრინამს თავისუფლათა;
ამ სოფლის სეკდა ნაღველი
მას არ აწუხებს სრულათა!

ჭეკუნა თვისი ჭკონია,
ათას-ფრად აღეკვებული,
ნაშრომის კაცის ოფლითა
დაჭფურებს გახარებული.
რას გათენდება დილა
დაჭფურს, დაძღერის სტეკნითა
და დღიურს სახლა — საკეკესა
ყველგან შოულობს მღერითა,
მაგრამ კაცი კი უბედა
ამაებს მოკლებულია —
და თითქოს ჭეკუნის ტანჯვისთვის
გის — ხიდად გადაუღათა!

ნეტავი ჩიტსა ბედნიერს,
ფიქრი არ იცის სრულათა
და ამ ღამას ჭეკუნას;
დაჭფრინამს თავისუფლათა!

მ... ა — ძე.

სურათი

შემოჭკრა ბინდმა. ვანსკვლავნი
ამოცამციმდნენ ცაზედა,
ყველგან დამკვადრდა სისუქე
მინდვრად, ბანად და მთაზედა.
კამკამებს, მოჭკრთის, მოკლამს
მრავალფერად ლაყვარდოსანი —
და გულ საკლავად შეჭკვლობს
ჭეკმთგან დამის მგოსნანი —
აგერ დაიწყეს ღამლაში
შეკვლდოვან მთის თაგებმა,
სხიენი ჩაქვენი უფსკრღში,
შრიადი შექნეს ფოთლებმა;
მთის იქით ბადრი მთოვარე
ადმოხდა, შეითამაშა,
ზღუდეთ მოჭფინა ნათელი,
ვანსკვლავნი აათამაშა....

ზაყელი.

უბრალო ჭემბარიტებიანი

გაქვას მთელს წელს გასხვავის,
 ბუღბული ვი სამს თვეს გალობს,—
 ყავეს გაქვასის «გალობა» ჭემურს,
 ხსიკვი ,,ბუღბულობას:“ ღამობს.
 როს ხაჭს თანგასჯან არ მოსდევს,
 ემსგავსების ცომი ჭემურს:
 მარტო ლიტონი სიტყვები
 ვერ განჭკურნენ გულის წყლულსა.
 ვარტი სიტყვა აღარ კარგობს
 როს თვის ადგილს არ სთქმენ მასა —
 ბეო ისე კერტება,
 ვით ყურმენზე ღვინის სმასა.
 ასლად გაშინჯივი კარტი,
 ნუ ენდობი მის წარსულსა —
 ბარამეტრის თვისებ: ჭემურს
 კარის უჩხი სულსა და გულსა

დ. გასამიწელი.

რუსთველის რუსთველობაზე

ჩემს მეგობრებს ამ დღეებში მომხსენეს სულში
 თეატრის 32 №, სადაც იყო რადენიმე სიტყვა შეს-
 სებ ჩემი ბროშურისა „რუსთველი და იმის ცალი“. მე,
 სწორედ მოკვასისა, არამც თუ ვასუსი ამ შენიშნისა,
 თვით წაითხვან არა მოურდა. ჩვენმა კრიტიკოსებმა ისე
 შემსხვიეს ღანღვა-გინებას, რომ ვინცდი აქც იმის მე-
 ტი არა იქნებოდა რა. მაგრამ, მეგობართ მამოქლეს წა-
 კითხვა და გარემოებამ—ვასუსი. გამოდგა, რომ ის აზ-
 რი, რამც ისრე უწყალოდ ააღელვა და გააღანძვინა
 ჩვენი თავი ბატონს კრიტიკისა, სხვაგან, უფრო ცნო-
 ბიერს ვერებშიც, დამკვიდრებული ყოფილა. მიხეზი ეს
 არის, რომ გვიღებ კალამს ხელს ამ ვასუსის საწერად,
 თუძცა უნდა ვი ვთქვა, რომ დიდი საბასო არც ეს ს-
 დაო სანქვა.
 სხვათა შორის, მე ამ, სემოდ-სესეხული ძველი
 ამბის შესაჯავში ვამბობ, რომ, როგორცა სხანს რუს-
 თაველისეუ სიტყვით, რუსთველობა ხელობა ყოფილა და
 ეს ხელობა რუსთველსა სჭერია მეტქი. წარმოადგინე
 მკითხველთ, რომ ეს აზრი თავიდან ბოლომდის სულ
 შეცდომილებაა: რა არის აქ ასაღელვებელი? რა არის აქ

ისრეთი, რომ კაცს, რომელსაც ამის თქმით არაფერი
 ცუდი არა ელა რა გულში, გარდა სიამართლის გამოკე-
 ლეისა, მიზეზ შირი და რაც კადრებოდეც და არ კად-
 რებოდეც სულ ზედ მიაყოლო. კრიტიკოსს მოჰყავს
 ჩემი თხზულებიდან ის ადგილი, სადაც მე ვამბობ რუს-
 თველობის ხელობასეუ, და შემდგომ ამბობს ,,თხუთ-
 მეტი გაორების ნიშანი ვერ გამოსთქვამდა იმას, რაც
 მე ვიგონებ ამ ტირანდის წაგითხვის შემდგომ. ,,ეს რა ამბა-
 ვა? მინდოდა მეკითხნა ბ. ფურცელადმისათვის, მაგ-
 რამ დაწმუხებული ვარ მასვე ივითხვას თვით ბ. ფურ-
 ცელაქი, როდესაც თავის ბროშურას წაივითხვას. საჭმე
 ის არის, რომ ეს ლეგენდა ატორს ამ ოცის წლის
 წინადა, ესე იგი მამან, როცა ბ. ფურც. ნაწარმოებთ
 ჯერ კოჭინი ექირებოდათ ,,ცისკარში“ ჭქონდა დებე-
 ჭდილი და ესლა ალბათ რომელსამე ერთგულს მეგობარს
 გამოუტყებია და სიურპრიზად ცალკე დაუბეჭდა. ტუე-
 ლად ვი არ არის ნათქვამი: ჭქუა თხელი მეგობარი მტე-
 რხედ უფრო სსშიაო. სხვა ფრთე ვერა გზით და ვე-
 რა სსშულებით ვერ ამხსნია ესრეთი მასხარად ავღებთ
 ლოგიკისა. ენისა, და ლიტერატურისა. სიტ-
 ყვით, რომ წაითხული არა ტქონდეს თავში, რაზუნდაც
 არის ასრე განრისხული ბ. კრიტიკოსი, გეგონება ბ.
 ფურცელამეს ასეთი რამ ცოდაც ჩაუღენია, რომ ამათი
 თუ ჭქუნიერებას არა, ბუნლს საღსს მანც უბედურება
 მოკვლისო. აქ არამც თუ არა ჭხოგამენ შესს ვიროჯი-
 ბას, ჭლანძმამენ შესს მეგობრებსაც და ერთიც-ლა ავღდა
 რომ მისწდამოდნენ ცოლშიელს, ნათესავეებს და მეზობ-
 ლებსაც. აქ სწორედ მაგონდება ფილოსოფოსი ვანკანსი,
 მოღვიურის გამოქვამი ,,მალთ ცოლის შერთვა“, სა-
 დაც სსშინელი აღელვებულია ვანკანსი, ღანძლავს თავის
 მეგობარს, სხვა ფილოსოფიის მიმდევარს და გაიმხსინა:
 ნუ თუ ჭლანძმებს ცად მიმართ უმეტრება იგი, რომე-
 ლი იტყვის ფორმალ ქულისაო!! თ უმეტრება, თ უმე-
 ტრება! უნდა ითქმოდეს ფიგურა და არა ფორმა ქუდი-
 ს! სწორედ შეეცდი და რუსთველს ის ვი არ უნდა ეთ-
 ქვა, რომ ხელობით რუსთველი ვარ, არამედ იმას ამბობს.
 როგორცა სხნის კრიტიკოსი, რომ ხელობით მოშაი-
 რვა. ამისთვის ან მე რადა ვარ ლიტერატურისა, ლოგა-
 ვისა და ენის მასხარად ამღებთ (ესე იგი უტყინო), ან
 ხში მეგობრები რათ არიან გიყვები და ჭქუა თხელება.
 ნუ თუ რომ დავამტყინო, რომ რუსთველი არ ამბობს
 იმას, რომ მე ხელობით მოშაირე ვარო, მამინ ამ
 კრიტიკების თვისების გამოამსახველად ჩასთვლის ბატო-
 ნი კრიტიკოსი თავის თავსა და თავის მეგობრებს?...
 თვითთა ამისთანა შეცდომასეუდ რომ ჩვენცა და ჩვენი მე-
 გობრებიც უტყინობი და ჭქუა თხელები ვიყენით, ვიდა

დაწესა, არამც თუ ჩვენს მწერლობაში და სხვაგანაც ტვი-
ნიანი და ჭკუა სრული?

გადავიდექნ საქმეზედ.

ბატონი კრიტიკოსი ამბობს, რომ ამ სიტყვებით:
„მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღ არი“,
რუსთველი იმას გი არ ამბობს, რომ მე ხელობით რუ-
სთველი ვარო, არამედ იმას ამბობსო, რომ: „მე რუს-
თველმა, ხელობით მოშაირემ, მიყუა ხელი ლექსების
წერასაო“. ჯერ ბატონო კრიტიკოსო, როდესაც ისრე
უწყალოდ ჰქიცხვით სხვის ლოგიკას, რატომ არ და-
კვირდით თქვენს ლოგიკას. თუ ხელობით მოშაირე
იყო, მაშ როგორ-ღა მიჯყო ხელი? ჩვენში ჯერ საქმეს
ხელს მიჭყოფენ, შემდეგ საქმეს ხელობათა ხდიან. მაგრამ
ეს არაფერი. გკითხვით თქვენა, ამ თქვენსნითვე მოყუა-
ნიდეს სიტყვებში: „მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმე-
სა ამაღარა“ სად არის სხსება იმისი, რომ, ხე-
ლობით მოშაირემ მიყუა ხელი ლექსების წერასაო.
ეს თქვენი რუსთველის სიტყვების თქვენებურად წაკით-
ხვა არ გგონებთ უსუნსკის ერთი ოტსტანნიო სალდათი-
სკან გახეთის გოლასის წაკითხვას. იმას მისცეს რომ
წაკითხა „Голосъ“. იმან ჩათვალა-ჩათვალა ასოები,
და ბოლოს ამოკითხა Пызета. ერთი ან სიტყვა; ან
მსგავსება ამ სტრაქონში, ან სხვაგან სადმე ამ შესავა-
ლში არის, რომ: მე ხელობით მოშაირემ მიყუა ლექ-
სების წერას ხელიო?.. ჩემს ასსსში გი ლოდიგისა;
ენისა და ლიტერატურისა და მასხარად აგდება,
თქვენს გოლასის მაკიურათ გუხეტას ამოკითხვაში დი-
დი ჰსტივი და დიდება ენისა, ლოდიგისა და ლიტერა-
ტურისა?!

მაგრამ, რომ უფრო ცხადად ავხსნა ჩემი აზრი შე-
სახებ იმისა, რომ რუსთველი რუსთველობას ხელობა-
თა სთვლის, დავიწყო ცოტა შორიდამ.

რუსთველი შესავალში, სადაც ამბობს: „მე რუს-
თველი ხელობითა...“ ღაშარაკობს ჯერ რამდენიმე ხანი
ღთის ჭებზედ, შემდეგ რამდენსამე ხანას უძღვის
თამარის შესხმას, მასჟანს გადადის ერთს ხანაში ტა-
რეულზედ, ამას იქით მერვე ხანიდამ დაწყობილი მუთუ-
რამეტე ხანამდის ღაშარაკობს მიჯნურობაზედ და თავის
გამიჯნურებაზედ; ამის უკან გადადის მოშაირობასა და
მოშაირეობაზედ. იმ ხანაებში, სადაც მიჯნურობასა და თ-
ვის გამიჯნურების ღაშარაკი აქვს, სწორედ აქ ამბობს:
„მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღ არი, ვის
მორჩილებს ჯარი სხათა, მისთვის ვხელობ მისთვის
მკვდარი. დავუძღვრდი მიჯნურთათვის კვლავ წამალი
არსით არი, ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამა-
რი“. მასხარადამე, აქ, ამ ადგილას, რომ გიდეც ნდო-

მოდა რუსთველს თავის მოშაირობაზედ რამე ეთქვა აქ
არ იტყოდა. აქა აქვს ღაშარაკი მიჯნურობაზედ და ღა-
შარაკობს ამაზედ. იმას რომ იმის თქმა ნდომებოდა,
რასაც კრიტიკოსი ბრძანებს, ან როგორც სხვათა ჭო-
ნით, ის ამ შესავლის ბოლოში, იტყოდა სადაც ის
ღაშარაკობს მოშაირეობაზედ და იმათში თავის თავზედ
ამბობს: „ჩემი აწ სტანით ყოველმან, მას გაქმე, ვინცა
მიქია... მისი სახელი შებრძვევით ჭვემორე მითქვამს
მიქია“. მაგრამ რუსთველი არც აქ, სადაც ადგილი იყო,
არც იქ, სადაც ადგილი არ იყო, არ ამბობს არაფერს,
რომ ის ხელობით მოშაირეა და მიჰყო ლექსების წე-
რას ხელი. ის თავის მელექსობაზედ ამბობს სულ ბო-
ლოში, როდესაც ათავებს თხზულებას, ისიც იმიტომ
გი არა გაიკეთ მოშაირე ვარო, ან ამას გი არ ამბობს
რომ ჩემი ხელობა მოშაირობაო და ლექსებს ხელი
მიყუაიო; იმიტომ ამბობს, რომ დაწხეს ცნობა ვისი
დაწერილია თხზულება, როგორც ესა ჩვენ გაწერთ
ბოლოზედ ან თავში თავის ნაწერებს ჩვენს სახელსა და
გაწარსა. რაგი აქ, სწორეთ თავის ადგილას აქვს მოხსე-
ნებულო: „ავსწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა
დაბისა“ ვგონებ ესეც საკმაო იყო და არ მოაქვებოდა
ათასგან განმეორებასა, რომ გაიკეთ მელექსე ვარო. ას-
ლა გადავიდეთ თვით იმ ხანას განკურნაზედ, საიდანაც მე გა-
მამყავს, რომ რუსთველი ეძახის თავის თავს ხელობით
რუსთველს. როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, რუს-
თველს ეს ხანა აქვს იმ ადგილებს შუა მოყვანილი, სა-
დაც ის ღაშარაკობს მიჯნურებასა და თავის გამიჯნურე-
ბაზედ. აი რას ამბობს აქა. „მე რუსთველი ხელობი-
თა ვიქმ საქმესა ამაღ არი. ვის მორჩილებს ჯარი
სხათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი. დავუძღვრ-
დი მიჯნურთათვის, კვლავ წამალი არსით არი, ანუ მო-
მცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი“. (*) ცხადია,
რომ აქ რუსთველი ამბობს, თავის მიჯნურობაზედ და
სრულიად სხვა არაფერსაზედ. რომ ამბობს: მე რუსთვე-
ლი ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღ არი, ვის მორჩილებს
ჯარი სხათა მისთვის ვხელობ მისთვის მკვდარი,—ეს
სიტყვა ხელობითა ან უნდა მიეწეროს სიტყვას რუს-
თველი, ან იმის მიჯნურობას იმ შირთან, რომლისგა-
ნაც თხოულობს, რომ ან განკურნება მისცეს ან მიწა
სამარი. თუ მივაწერეთ ამ ბოლოს აზრს, მაშინ აი რა
გამოდის: ჩემი ხელობა თამარის მიჯნურობაო. ახლა მე
გკითხვა, ვინც ჩვენს აზრს არ ადგია იმათა: რომელი

*) ეს ადგილი სელ-მეორედ იმიტომ მომყავს, რომ არ
დაავიწყდეს შეიხველს იმისი აზრი.

რიგანნი შწრადი დასწრის, მეტადრე მსმინდელს დროში, რომ მე სელობათ არშაიობა გამისდიაო! ცხადი საქმეა, რომ სიტყვა ხელობითა უნდა მიუწროს სიტყვას რუსთველი. თუ ეს ასრეა, მსმინ ცხადია, რომ რუსთველობა ყოფილად სელობა და ეს სელობა ჭქონია შოთა რუსთაველს. რომ არც რუსთველის სიტყვაში არც ჩემს აღსნაში დაუფერებელი არა არის რა, გადავჯღოთ თვალა ისტორიას: ძველად ყველა თემს თავის ერისთავი ჭევანდა ან თავის მთავარი. ყველა თემის მოთავეს ამ თემის სახელი ჭქონდა, თუნდა ამჟამ თამარის ისტორიაში ბაღეთ, მკეთის მთავარს ერქვა შვეთელი, რომელიც საზღვლიც აყო, მელეკსეცა. თმოგვის მთავარს—თმოგველი, რომელიც შწრადიც აყო, თორეთის მთავარს—თორელი და სხვა. ეს სახელები ნამდვილათ სელობანი იყვნენ: ისინი იყვნენ წინამძღოდეზნი და გამგებნი ამ ადგილებისა, რომლისაც სახელს ატარებდნენ. თუნდა ბაღეთ ერისთავობა ყველა ამგვარის კაცი კი არ აყო ერისთავი სელობითა, აყო მარტო ერთი. ჭართლის ცხოვრებაში ხშირად წაიკითხავთ: მისცა ქსნის ერისთავობა, ანაგვის ერისთავობა ამას და ამას. ამგვართ გვარის მოთავეთა და თემის უფროს მოხელეთა ერქვით გვარის ბატონი. ამ სახელის მისაწდომათ ხშირად თვითო გვარის კაცი სწვევს ჭქონდა მთელს გვარეულობას. რუსთაველ უმკბელია ერთი ამ გვართ თემთაგანი იქნებოდა, რომელიც უბარა დადს გვარეულობას, და ამ გვარის მოთავეობა შესაძლებელია ჭქონდა შოტეს რუსთველს და ამბობს ამასე: მე რუსთველი სელობითაო. რომ რუსთველი უნდა ყოფილიყო დიდი გვარის კაცი ამას გვიმტკიცებს ისა, რომ ის ისრე კანდიური და წამდგარი ყოფილა ამისთანა დროში მიუგებთან, ამისთან ისიც ცხადია, რომ ის, თუ დიდი გვარის კაცი არა ყოფილიყო, იმგვარს სწავლა განათლებას, როგორიც ამას ჭქონდა: კერც თვითონ მიიღებდა და არც მიუენი მისცემდნენ.

აი ის მოსაზრებანი, რომელთაც ჩვენ წინამოგებთქმე ვინეს ის აზრი, რომელსედაც ისე აღუვლად და განსისხდა. კრიტიკოსი.

ანტონ ფურცელაძე.

თეატრი და მუსიკა

— ამ წელს, როგორც ჩვენს დრამატიულს დასს, აგრეთვე სომხურს დასსაც გალიათ კომიტეტი გამოუჩნდა. როგორც შევიტყუთ დასი უკვე შემდგარია და 4 სექტემბერს კიდევ დაიწყება წარმოდგენიო. პირ-

ველ როლზედ მოწვეულია პ. ადამიანი, ქალი-არტისტები: ეკიმიან და ქარაქაშვიან, დანარჩენი იქნებიან ყველა აქაური არტისტები. წარმოდგენები გაიშართება საზოგადოებრივ (ფითოვეის) თეატრში. კომიტეტს გადაუწყვეტია თეატრის ქირისათვის დიხარჯოს 3000 მან. ერთის სიტყვით ხუთი-ექვსი თვის განმავლობაში სომხური დრამატიული დასი კომიტეტს დაუჯდება 8,000—10,000 მანეთამდე, ჩვენის მხრავ ვისურვებთ, რომ ახლად შემდგარს კომიტეტს საქმე რიგინად დამოუაგრებინოს, თუმცა ასეთი ხარჯის გაძლილა ცოტა არ იყოს, საეჭვოა.

— თბილისის თეატრის ანტრეპრენიორს ბ-ნს ფითოვეს უკვე შეუდგენია ოპერის დასი; ახლად მოწვეულდებში არც ერთს გვარს არ შეხედება კაცი, რომელზედაც რამე კარგი ან ავი გვეგოს, თუმცა კი ოპერები ბევრია დასახელებული, რომელნიც სეზონის განმავლობაში წარმოდგენილი იქნებიან.—რეპერტუარში არიან ასეთი ოპერებიც, რომლები ჩვენს საზოგადოებას არ უნახავს აქაურს სცენაზედ მაინც.—

— როგორც შევიტყუთ ქუთაისშიაც აპირებენ თურმე თეატრალურ საქმის რიგზედ დაყენებას. ამბობენ რომ კ. ს. მესხი დასს აღგენსო და რეპერტუარის განახლებას ცდილობსო კ. მესხმა მარშან მშვენიერად წაიყვანა ქართული დასის საქმე ქუთაისში და უნდა იმედი ვიქონიოთ რომ წრეულსაც ენერგიულათ მოჰკიდებს საქმეს ხელს და თუ სამუდამო დასს ვერ შეადგენს, თემში ორ-სამ ჯერ მაინც არ მოაკლბს ქუთაისელებს ქართულის თეატრის ნახვის სიამოვნებას. როგორც მკითხველებს მოგხსენება კ. ს. მესხი ერთის თვით მოწვეულია გასტროლებზედ ჩვენი დრამატიულის კომიტეტისაგან, მაგრამ რადგან ცნლა კ. მესხი თვით აღგენს დასს, საეჭვოა რომ მოახერხოს თბილისში ჩამოსვლა.

— გამოჩენილი ანგლისელი არტისტი გენრიხ ირივი ამ ყამად თურმე ამერიკაში, ნიუორკში იმყოფება და აღტაებაში მოჰყავს იქაური საზოგადოება, დღე ისე არ გავა, რომ პატივეცემულს არტისტს ან სადილი ან ბანკეტი არ გაუმართონ იქაურ მოწინავე დასმა, იქაურ ბოზოლებმა.

მომხრობანი

ბეზარნი ბუზდა
(დასასრული)

ბი, აი თითქოს ქუხსო ისე მოისმის შორიდან მხედართა ხმაურობა, მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, აჰა, ხელ-

ახლა მოისმის... ეს არის გუზდა თავის ამალით—იგი დღეს ნადირობს... აჰა, ძაღლების ყეფაც... შეუპოვარი ცხენების ქენება... ყიჟინი... სტვენა... ბოლოს ნალარაც! დიან „ბოერს“ გუზდა თავის ამალით ნადირობს, მხოლოდ ეღა შესაქცევი ღარჩენია ამ სიბერის დროს...

ღამდება. ფართოდ გაშლილ მინდორზედ გაისმა „შეყრის“ ნალარა. ტყიდან და ბუჩქებოდან გამოცვივდნენ მხედრები-მონადირენი და გარს შემოერტყნენ თავის „ბოერს“. გუზდა ზედ ზის ერთს უშველებელ გარეულ ღორზედ, რომელსაც არ აცდენია ბებერი „ბოერის“ ტყვია.

— ჰეი ბიჭებო, ვინც დაიგვიანებს თავის თავს დააბრალოს, დროა წაყვით. დღეს მთელი დღე შინ არ გყოფილართ; ღამდება კიდევ—სახლამდინ კიდევ ოცი ვერსტი იქნება. მაგრამ ეს რა ამბავია? აი იქიკ რალაც ღრუბელი რომ მოჩანს... ხედავთ!? აბა, ბიჭებო, აბა, ცხენებზედ! ვინც უკან ჩამორჩება ვახშამს დაჰკარგავს—ხომ ხედავთ ღრუბელს?... აბა, ჰეირი! ჰეი!

ერთის წუთის შემდეგ მთელი არამარც ყიჟინით, ათასი ცხენების ფეხის ხმაურობით მოცოდა და მთელი ეს გუნდი გუზდის ციხე-ღარბაზისაკენ გაექანა.

აი კიდევ გაისმა ნალარის ხმა, ვე ნიშნავს რომ ციხეს მიახლოვებულან—ციხიდან პასუხი მისცეს. ყველას უხარის, რადგან იციან, რომ ბოერს ყოველის ნადირობის შემდეგ კარგი ვახშმის გამართვა უყვარს... ვახშმის შემდეგ კიდევ მომხიბლავი, გამაგიჟებელი „ჯოკი“...(*) აი ისიც, ის ჯადოქარი, ის „ლულუნა“ ჩამოუვლის „ჯოკს“,—ხან მიჰგავს მდინარეს—ისე მიცურავს, ხან შველს მოგაგონებს, ხან ფიცხე ცხენს, ხან გველივით ათასნაირად დაიკლავს, მერე ისევე გაიშლება და ვინ მოსთვლის, რას აგრძობინებს თვალს, გულს, გონებას და ეროვნულს თავმოყვარებას! ასეთი ფიქრ უელავს, ყოველს მენადირეს. ამ მხიარულის ფიქრთ ქვეშ ყველანი მიეშურებიან ციხე-ღარბაზისაკენ. აი კიდევ ხილეს მიადგნენ; ის იყო ფეხები ჩადგეს ცხენებმა, ამ დროს უეცრად ციხიდან საზარელის ხმაურობით თოფი გაეარდა... ამას ზედ მოყვა საშინელი ხმაურობა, აყვდნენ ძაღლები და მერე ეს ხმაურობა მდინარისკენ გაქანდა... შორს—შორს გაისმა გრგინვა, იღლეა მებმა, გაიქეცა,—მაგას მოყვა ისევ საშინელი გრგინვა-ქუხილი... ბებერი გუზდამ მყისვე ცხენი შეაყენა.

*) „ჯოკი“ არის თამაშობა—ჩვენს ლეკურს ბევრად მიჰგავს.

თითქოს სიკოცხლის ძაფი მოსწყდაო ბებერი ბოერს—ისე დაუწყაო გულმა წიწკინი. გუზდა გაიმართა უხანგებზედ, მერე გადაეკონა ცხენის კისერს, ჰკრა მათრახი, აყრყოლდა ცხენი და განქრა... აქვე ხრამი იყო, აქვე ხიდეც, მაგრამ არც მხედარი და არც ცხენი, მათ არ ხედავდნენ თითქოს არაფერს გრძობდნო, ისე შეუპოვრად გაჰქანდნენ ღარბაზისაკენ... ხან გამოჩნდებოდა ორივე-ცხენი და მხედარი—ხან ისევე მიიმალდებოდნენ ბუჩქებში, ხან შთაინთქებოდნენ ხრამში, ხან გორის წვეროზედ გამოჩნდებოდნენ...

იმ წამსვე კვალ-და-კვალ გაჰყვნენ ბოერს მონადირენიც, ხოლო როდესაც გუზდა ეზოში შევიდა, იმ დროს დანარჩენი მხოლოდ ხილზედ იყვნენ. ერთი წუთი და აი რა წარმოუდგათ იმათ თვალწინ: ბებერი ბოერის ფეხთ ქვეშ ეგდო კარის-კაცი და ცრემლებით თვალ-მორთული, ფეხებს უკოცნიდა თავის ბატონს.

— ოჰ, შე ჯოჯოხეთო, მითხარ რალა—რა მოხდა, რა ამბავია?

— ბატონო, შენი ქირიმე, უბრძანე კვალზე გაუდგნენ, ეხლავე დაიქერენ!!

— რას ამბობ, ქოფაქო, ვინ დაიქირონ, არ მეტყვი?

— „ლულუნა“ თქვენი ქალი... ირინე... ახლავაზდა ურზის შვილი, ეხლავე დაიქერთ... ოლონდნუ ავიანებთ...

ყველაფერი ცხადი იყო. ბებერი გუზდა ბრახევისაკენ გალუჯდა.

— მაშ, აჰა, რა ყოფილა დარდის მიზეზი? მაშ აგრე განა?! და ერთი ისეთი მიართყა კარის-კაცს, რომ საბრალოს კინიღამ სული გაძვრა.

— ჰეი, დაიღრიალა ბოერმა, ჰეი ვინცა ხართ, ყველანი მოგროვდით. აბა, გამყევით მდინარისაკენ! მოეწიეთ, დაიქირეთ ორივე და აქ მომგვარეთ—ცოცხალად მომგვარეთ, ცოცხლად რომ ცოცხლადვე აუგო წესი ორივეს!...

ბებერი გუზდა მთლათ გალურჯდა, გულში ჯოჯოხეთის ცეცხლი მოედო, სისხლით აემსო თვალეები, პირზედ სიანჩხლისაკენ დორბლები გამოაოჩნდა. წუთს იძრო დამბახები, ჰკრა ცხენს მათრახი და შურდულივით გაექანა, მას მიჰყვნენ სხეებიც. ყველანი მდინარისაკენ მიჰქროდნენ. მივიდნენ კიდევ, მარამ... რა ნახეს?! მდინარე გაზვიადებულა, მთლათ გამოცვლილა. რამდენიმე წუთის წინეთ დამშვიდებულ მდინარე ახლა მღვლეარე ზღვას დამსგავსებო-

და—ტალღნი ტალღებზედ საშინელი სისწრაფით და ხმაურობით ხტოდნენ, იგი ეხლა იყო ზღვა ნამდვილი, ტყვილად არ შეწუხებულა ბოერი, როცა დაინახა შავი ღრუბლები, ტყვილათ არ იყო გრგვინვა ქუჩილი: იქ, სადაც პირველათ ღრუბლები გამოჩნდნენ, ნაიღვარი წამოსულა და ზომ ცნობილია, რომ მდინარის სისწრაფეს ნიაღვრის დროს ვერაფერი შეედრება-რა... პრუტი ვეშაპსა ჰგვანდა!

— „მაგრამ ეს რამ ამბავია?“ ყველანი გაყუჩდნენ. თვალწინ წარმოუდგათ საზარელი სურათი: ასე, სამოცი ადლის სიშორეზედ, იქ სადაც დამშვიდებული დროსაც ყოველთვის მორვეი იყო ხოლომე, ეხლა საზარელ სანახავს წარმოადგენდა. იმ ადგილს თითქოს ქაჯი დაბუდებულაო, ისეთი საშინელება იყო: წყალი ბლაოდა დაჭრილი ნადირისავეთ და ნამდვილს ადუღებულს ქვაბს დამსგავსებოდა. დიდი, უზარმაზარი ხე ჩხირისავეთ ტრიალებდა ამ შეუბრალებელ მორვეში. მორვეის შორ-ახლო რაღაც შავი საგანი მოჩანდა, რომელიც თითქოს ნაცხა ჰგვანდა. ჯერ კიდევ სინათლე იყო, ჯერ კიდევ მრისხანე შავს ღრუბლებს არ დაუბნელებია ქვეყანა და ამიტომ აშკარად გამოჩნდა ნავი და შიგ მსხდომნიც; ახალგაზდა ურზა და „ლულუნა“ ირინე განსაცდელში იყვნენ...

ბებერი გუზდა გაქვავდა, შიშისაგან ყველანი მიყუჩდნენ და ელოდნენ ბრძანებას. რამდენიმე მტანჯველი წუთმა ასე გაიარა. ბებერი გუზდამ თვალი გადაავლო თავის ამაღას.

— მიშველეთ! დაიხსენით, ჩემი კანკალით წაიბუტბუტა ამ ყოველთვის გულადმა, მკაცრმა და მრისხანე ბოერმა, ყველაფერს, ყველაფერს მიესცემ იმას, ვინც იმათ დაიხსნის; მონათ გაეფხვდები! მიშველეთ! ოლონდ დაიხსენით და ორივეს ვაპტიებ, ორივეს... წავალ დავიჩოქებ ბებერი ურზის წინ, ოლონდ დაიხსენით, მიშველეთ!...

მაგრამ რას შეადგენს კაცი თვისის დიდებით ბუნების ძალასთან, სტიქიასთან? ჩვენი ტანჯვა და სიხარული მათ არ გავეგებათ! ყველანი თავ-ჩაღუნული იდგენ. არვინ იღებდა ხმას და შესაძლებელი იყო განა ხმის ამოღება? ბებერი გუზდა მიხვდა ყოველისფერს და სანიშნელი, გამბედავი, ჩვეულებრივი სიმხნევე ჩაცხსა სხეულში.

— ნავი, ნავი მიშოვეთ, მე თითონ წავალ! დაიყვირა გუზდამ, ცხენი, თოკები მომეცი. საჭე... ნიჩხები!.. ეტყობოდა რომ თითონაც არ გრძნობდა, რასაც ლაპარაკობდა. მდინარე კი თანდათან უფრო მატულობდა. მაგრამ საიდან იშოვონ ნავი!

ამ დროს პაწია ნავმა კიდევაც მიალწია მორვემდინ და ის იყო დაიკარგა კიდევ, მაგრამ მერე ისევ გამოჩნდა და საშინელის სისწრაფით დაიწყო ტრიალი ერთს ადგილს. მაგრამ არა! აი, თითქოს გაჩერდა... მაგრამ არა, არა! ეს ოცნებაა... რაღაც გასტყდა—ნავი მიეხალა უზარმაზარ ხეს—განსმა გულსაკლავი უიმედობის ყვირილი... ნავი მტვრად გადიქა!... „ლულუნა“ ირინე განქრა... აი გამოჩნდა მისი მკერდი... აი, აი მისი თმებიც, აი მთლათ გამოჩნდა... და ისევ შთანთქმეს ტალღებმა, ხოლო ეხლა კი სამუდამოდ. დიახ, სამუდამოდ! მართალია, იმას კიდევ ამოაგდებენ სადმე ტალღები, მაგრამ ეს სადმე შორს, შორს იქნება და „ლულუნასაგან“ არა დარჩება-რა.

ეს ყოველივე ისე სწრაფლად მოხდა, რომ იქ დამსწრებმა თვალიც ხეირიანად ვერ მოჰკრეს. არავის არ ამოუღია კრინტი. ყველანი უყურებდნენ დიდს ხეს, რომელსაც ჩამოჰკიდნია ახალგაზდა ურზა და გაშმაგებით ებრძვის უგუნურს სტიქიას. აი ურზამ მიიხედ-მოიხედა გარშემო: ნავისაგან არა სჩანდა, რა არ სჩანდა ირინეც. ურზა მხოლოდ ეხლა მიხვდა თავის უბედურებას.

ერთი შევხვდა ზეცას, რაღაც ინიშნა და ჩავარდა შიგ შუა მორვეში... ერთი კიდევ ამაგლო წყალმა და მერე ისიც განქრა სამუდამოდ... შეჰყარა ისინი წყალმა თუ მოაშორა ერთმანეთს? მაგრამ ეს არც საჭიროა. განა ლეშები რასმე იგრძნობენ?..

ბებერი გუზდა დაეშო მიწაზედ. იგი არ სტიროდა, მაგრამ მთელი მისი ავებულება კანკალებდა. იგი იგლეჯდა თმებს, ხან ლოცულობდა, ხან სწყველიდა ვილაცას. ყველანი იქ მყოფნი მუხლებზედ დაეშენენ...

ცა კი სრულებით მოიღურბლა. შავი ღრუბლები ტყიასავეთ მძიმედ ჩამოაწვნენ დედა-მიწას. ყოველისფერს დაედო გლოვის ფერი—თითქმის სუნთქვაც გაძნელდა, ჰაერში რაღაც დამწვარის სუნმა დაჰბერა.

წამოდგა ზეზედ ბებერი გუზდა. მრისხანე თვალები კარგს არას მოასწავებდნენ.

— ეხლა სულ მარტოდ-მარტო დავრჩი, სრულებით მარტო, სრულებით! შენ წამართვი ყოველისფერი, ბარემ შეც წამიყვანე! დაიღრიალა საშინელის ხმით და ზედ შემოიფხრიწა გულის პირი—აჰა, დაჰკა! და მუქარით მუშტი მოუღერა ზეცას, არ გინდა განა? ხა! ხა! არ გინდა, არა?? მე შენ ვითხოვე, ოპი

ზეცავე! გამოდი რაღა!? არ გინდა განა? ხა! ხა! ხა! ხა! მერე ამოიღო დამბაჩა, ცოტა შეჩერდა, მიემიზნა ცას და გაისროლა. ყველანი შეერთენ. წუთმა სიჩუმეში გაიარა. გაგიყვებული ბებერი მრისხანეთ შეჰყურებდა შეუბრალებელ ზეკას. უეცრად რაღამაც დაიხმაურა. მთელი ჰორიზონტი განათდა. დაჰკრა ქუხილმა. დაჰკრა მეორედ... დედამიწა შეიძრა... როდესაც ქექა-ქუხილი დაწყნარდა ბებერი გუზდა ვაშლართული იყო მიწაზედ, დამბაჩას ბოლი აზლიოდა. ბებერი სიკვდილს ებრაოდა—ერთი წუთიც და „ბოერიც“ განქრა სამუდამოდ...


ზევით ციხე-დარბაზში რაღაც დაინგრა, ყველანი მიბრუნდნენ... მენისაგან დარბაზს ცეცხლი მოჰკიდებოდა—მაღე ესეც განქრა სამუდამოდ...

ორი, შოლოდ ორი ქექა-ქუხილმა ყველაფერი წაართავ ბებერს გუზდას და თვითონაც გადაიყოლია...

მის აქეთ საუკუნეები გავიდნენ. არაფერი არ დარჩა გუზდის დიდებისაგან, ხოლო ყოველს წელიწადს იმ საზარელი საღამოდან მოყოლებული ერთს დღეს უთუოთ გაისმის ამ ადგილას ერთი დამბაჩის სროლა და მის პასუხად ორი ქექაც. ამბობენ რომ იმ ღამეს პრუტიდან ამოდის თმა გაშლილ ქალი და ვინც იმას დაინახავს იგი უთუოთ დაიღრჩევაო, იგი თურმე თავის სილამაზით ჰხიბლავს და აჯადოებს ყოველს დაგვიანებულს მგზავრსაო.

ღამით ვერც გადავა კაცი მდინარეს, ვერც ახლო მოუღლის და რაც გინდ გამზებდავი კაცი იყოს მანც ირჩევს საღმე ბუჩქებში ღამის გათევას, ვიდრე მდინარის გასვლას და შოლოთ მაშინ დადგება თავის გზას, როდესაც დილის რიყრაყი გაანათებს ბნელს და მწუხარს ღვდა მიწას.

ციკლოპი




ხალხური პოეზია

გორში ერთი ვადა იყო
 თავე უგუნდა ქალასა,
 ზედ ორა თწყალი ასუღას,
 იქ იგეთებდენ ბინასა:
 ზენა ქარი ამოკარდა,
 გადმოდიოდნენ ყიარასა.

ოსტატი ქალი ბრძანდება,
 შავი რდოთ მოკეპარები.—
 ზირობად ამას დაგიდებ
 ხანდასხან ტატეპარები.

(შერეული რ. მირზანელისაგან)



ავი ნატარძლის ყოფასა.
 სისხლი გაჟობს სისხლმა:
 ვამ ჭურჭელს წხუბი მოსვლია.—
 წუმწუმშია და ლაფშია,
 ქოთანს კარში მოგორავს,
 ციცისკი კი იცემს თავშია.

(შერეული გიორგისაგან)




ხადის თავს და გორს შუა
 ერთი მოყვარე შექნდაო:
 არც არა მე მაუტანე,
 არც არა იმას ჰქონდაო,—
 გამომისტუმრა მშვიდი,
 იმისა მამს ცხონდაო.

შაქარზედა უფრო ტკბილო,
 სანთელაგით ჩამოქნალო,
 ჩვენ შეუფემ ნუ გავკვაროს,
 ტურფა, ქობორ-დავარცხნალო

შენი ჭირივე, ბაქარო,
 თაფლო ტკბილო და შაქარო,
 ჩვენ აშენებულ მამულსვე,
 ვინ უნდა დასასხლ-კარო?!

(შერეული სოსიკოსაგან)



კვირიდან კვირამდე

* * * სოფ. ქარელიდან გვატყობინებენ, რომ წარსულს კვირას ამ თვისას, იქ სცენის მოყვარეთ ქართული წარმოდგენა გაუმართავთ. უთამაშნიათ „ძუნწი“ და „ბიძისთან გამოხუმრება“. ფული წარმოდგენიდან ბლომად შემოსულა, მაგრამ ზურნა, ვაზშია და სხვა მავ გვარ შესაქცევებისათვის არა ნახევარ შემოსავალზედ ნაკლები დაიხარჯაო. საკვირველი ქველ-მოქმედების მავალითია თქვენმა მზემ!

* * * რუსული ოპერების წარმოდგენა დაიწყო 30 აგვისტოს. სომხური დრამატიული დასი 4 სექტემბერს, ხოლო ქართული წარმოდგენები დაიწყობათ სექტემბრის დამლევს. მეტად გვიან კი იწყობენ ჩვენები!

* * * გაზეთი „ნავკაზ“ -ის სიტყვით ოპერ-პროკურორი სინოდისა კ. პობედნოსოცევი და მის კანცელარიის მმართველი ბ-ნი საზღვრი ჩამოვლენ 30-ს ამ თვეს.

* * * იმავე გაზეთის სიტყვით ბ-ნი ჩისტოვიჩი, დანიშნული გამომძიებლათ აქაურის სემენარისა, მალე ჩამოვა ქალაქშიო. სხვათა შორის ბ-ნს ჩისტოვიჩის მინდობილი აქვს აგრეთვე სხვა სასწავლებელთა გინხილვაო.

* * * ქვათა-ხევის მონასტრის ძმათა პალატში ინახება სურათი საქართველოს კათალიკოზის ანტონ პირველისა. ეს სურათი საუცხოოა რამ არის თავის გარეგან შეხედულებით და სახის გამომეტყველებით, ახალს დაბეჭდილს სურათებთან იგი დიდად განსხვავდება, ასე რომ შედარებაც არ შეიძლება. ეს სურათი ტარასი არხიმანდრიტს მოუპოვებია ქართველის ბატონიშვილებისაგან და რუსეთიღამ გადმოუტანია საქართველოში. კარგი იქნება, რომ ამ სურათს ჯეროვანი ყურადღება მივაპყროს ჩვენმა პატივცემულმა ალექსანდრე ეპისკოპოზმა და ანტონისავე თხუზულების „მზა-მეტყველებას“ თავში ჩაურთას, რომლის თხუზულებაც დღეს ცალკე წიგნად იბეჭდება.

* * * ამ დღეებში ჩვენ მივიღეთ ერთი ფრანკულული წიგნი სახელდობრ „ზინა-იური მუსკუმი“. დაბეჭდილია 1848 წ. პეტერბურგში. სხვათა მრავალთა ცნობათ შორის შიგ ჩართულია რამდენიმე ქართულ წიგნთა სახელები. აღწერა ბროსეს ეკუთვნის. ამ კატალოგში ბევრი უცნობი და საინტერესო ქართული წიგნებია ჩამოთვლილი.

* * * ჩვენი კორესპონდენტი გვატყობინებს ფოთიღამ, რომ ამ უკანასკნელ დროს, ბათუმის პორტო-ფრანკოს ახსნის შემდეგ, ფოთს არა ჩეულებრივი მოძრაობა და სიცოცხლე დაეტყოვო. ვაჭრობა. საც ფრთები შეესხაო. მოგზაურებიც ბევრნი მოდიან, მიწების ფასმა ერთი ორიდ აიწია, ასე რომ რაც ამ რამდენიმე თვის წინეთ 200 მანეთად ღირდა ეხლა 400—500 მანეთად ვერ იშოვებო.

* * * იქიდანვე იწერება კორესპონდენტი, რომ წარსულს 12 რიცხვს ამ თვისას ფოთს ესტუმრა სამხედრო მინისტრი ვანოესკი, ძვირფასი სტუმარი დიდხანს ათელიერებდა ფოთის ნავთ საყუდარსა, ბევრი ელაპარაკა ქალაქის თავს ბნს ეახრამოვს ქალაქის მდგომარეობაზე, ბოლოს ქალაქმა რკინის გზის გაკზალზედ პატივცემულს სტუმარს სადილი გაუმართა, სადაც დაესწრენ ქალაქის წარჩინებული პირნი და სხვა-და-სხვა დაწესებულებათა უფროსებიო.

* * * იქიდანვე გვატყობინებენ, რომ ქალაქის თავის არჩევანები მალე დადგებო და ამიტომ ეხლავე დაეტყო აქაურებს პატრიებად დაყოფაო. ზოგს „გოლოვობა“ და ზოგს კიდეც მისი თანაშემწის ადგილის ხელში ჩაგდება მოუნდომნიაო...

* * * იქიდანვე გვეწერენ, როგორც მკითხველებს მოესხენებთ, ფოთში დაარსებულია ახალი ეპარქია და ეპისკოპოსისათვის შესაფერი სახლი ვერსად ვერ იშოვეს საქირავებლად, ეხლა თურმე ქალაქის გამგეობა შეუდგა ახალი ხახლის შენობას, რამდენიმე ხნის შემდეგ კიდეც დაამთავრებნო.



ს ც ე ნ ე ბ ი

ერთი ახლად ჩამოსული კეთილ-შობილი კაცი პაპანება სიცხეში ქუჩაში დგას და რალაც უიმედო თვალით სახლებს ათელიერებს. ამ დროს კინტომ გაიარა:

— კნიაზ, დული აგურცა, მსხალი გულაბი, აბელცინ ლიმონი, რაც შენს გულს უნდა სულ აქა, რას ინებებ კნიაზო?

— რა მაგისა მკალიან, შეილოსა!

— ეა, კნიაზ! რამე უბედურება ხომ არ შეგემთხვა, ჰა?

— უბედურება მაშ რა ოხრობაა, აგერ სამი სათია, რაც ქუჩა-ქუჩა თავ გადაგლეჯილი დავდივარ ამ ამოსავარდნელ ქალაქში, ერთი ნაცნობი კაცის სახლს ვეძებ და არ იქნა, ვერ ვიპოვე, და ვერა! იქნება შენ იცოდე ეს სახლი ვის ეკუთნის!

— ეს სახლი, კნიაზ, ეკუთნოდა ვილაცას, მერე ვილამაც იყიდა და ეხლა კი შიგ ვილაცა სდგას.

— აივაცხონე მამი შენის სული, სთქვა კეთილ-შობილმა და თამამად ვასწია სახლის კარებისაკენ.

სპასიანო ვისოპოლიერი სტამბა

* * ერთი სოფლელი ქერიე მებატონე უფლის „ნაჩაღნიკთან“ ემზადება წასასვლელად და სარკესთან ციბრუტივით ტრიალებს.

— ბიჭო მოსიკა, არ გესმის შე....

— რა გნებავს, ბატონო, შენი ქირიმე?

— აბა ერთი შემომხედე, მოგწონვარ? ჰკითხა ბატონმა.

— ჰეიბე, სწორედ რომ მომწონხარ შენი ქირიმე!

— ლამაზი ვარ?

— ძან, შენი ქირიმე, ბატონო.

— აბა ნეტა ვისა ვგვევარ?

— ნეფეს შენი ქირიმე!

— არა მაინც-მაინც?

— ზედ გამოჭრილი ლომი ხარ შენი ქირიმე.

— მერე შენ ლომი სად გინახავს?

— იმის მეთი რა მინახავს შენი ქირიმე, ყოველ

ცისმარ კვირას ვხედავ.

— მერე სადა ბიჭო?

— აი ბატონო ჩვენს ეკლესიაში-აი, ი დიდი ნახატი რომ არის მარჯვენა კედელზედ, წმინდა სანთელსაც რომ ჰყიდიან.

— მერე იქ ლომი სად არის?

— ლომია მარა არის, ბატონო, რალაცა ნახატი რომ არის....

სად რა მომხდარი.

X საოცარი ველური ჩვეულება არსებობს თურმე ყირღიზებში: თუ ერთი ყირღიზი მეორეს გადაემტერა, მაშინ ეგ პირველი თურმე თავის შვილს ჰკლავს და სამსჯავროში უჩივის მტერს, შვილა შენ მომიკალიო...

X აი რასა სწერს ინგლისურს გაზეთებში: შვიდი წელიწადი არ არის რაც ჩვენ ინგლისელებს კიპროზედ გავლენა გვაქვს და ამ შვიდის წლის წინეთ სრულებით გაუნათლებელს ხალხს, დღეს რამდენიმე გაზეთი აქეთ საკუთარს ენაზედაო. გარდა ამისა კიპროსის მცხოვრებლებს საკუთარი სამსჯავრო და სხვა მაგვარი დაწესებულებები აქეთო... საზოგადოთ ინგლისელი გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ ყოველს ეჭირება აღრზდა-განათლება, ხელის

შეწყობა ყოველ საქმეში, რომ ამ საშუალებით უფრო დამკვიდრებულიყოს უცხოელების და დადგომობრივ ეროვნების ურთი-ერთის შორის სიყვარული და მეგობრული დამოკიდებულებაო.

X როგორც გაზეთები იუწყებიან გამოჩენილი რუსის მწერალი გრაფი სალტიკოვი (შჩედრინი) ეხლა კარგათ არის და კიდევაც შეუდგა ახალს თხზულებას.

X პარისის გაზეთში სწერენ, რომ ვილაც ახალგაზდა ქალს, რომელსაც თურმე დედ-მამა უშლიდა ერთი ახალ-გაზდა კაცის ცოლობას, ერთს დღეს დედა მოუწამლავს და შემდეგ მამა. შეუტყვია თუ არა საქმროს ეს ამბავი, მაშინათვე პოლიციისათვის შეუტყობინებია და ქალი დღეს დატუსალებულია. აი ესეც ძალდატანების შედეგი!—

ახსნა სიტყვის გამოცანისა.

1. დმ—ერთი=დმერთი.
2. სა—ქართველო=საქართველო.
3. მამ(ა)—ის=მამია.

გამოცნეს: მათიჟო საფორუმმა, ღიზამ და სანდრამ.

სიტყვების გამოცანა.

I სასულ-წოდებას წოდებითი ბრუნვაში მიუძღვით ერთი გვანი მცენარის სასული, მრავლობით რიცხვში: ყველას ეს შეადგენს ისეთს სასულწოდებას, რომლით პირუტყვი შეტყვევდისაგან განიხვევს.

II შინაურის ცხოველის სასულწოდებას უგანასქნელი ხმოვანი ასო შეუცვალეთ მეორე ხმოვან ასოთა, ამას მიუძღვით გაუის სასულწოდება ხოლო უგანასქნელი ხმოვანი ასო მეორე ხმოვანით შესცვალეთ—ამას კადვე მიუძღვით სასულწოდება სამლოწოწიდიდან ნათესაობით ბრუნვაში: ყველას ეს შეადგენს ჩვენი თანამედროვე მწერალის სასულს და გვარს.

ბამოცანა უმოკუსი.

დადებით სკამ ქვეშ ისე, რომ წელი არ მოიხსროთ და მუსულები არ მოიკეცოთ.

ვასარობი

განსვენებული თ. დ—ი გ—ელი, როგორც ავი ენები მოგვიტოვებენ, დიდი „ტრანზისი“ და „ტრუ-პენტელა“ კაცი ბრძანდებოდა თურმე.

ერთსელ ოდიშიდამ ერთი თავადიშვილი ესტუმრს ნეტარ-სსენებულს. სადილად რომ დასხდნენ თურმე, მას შინძელმა მიატანინა ერთი ბოთლი დასუქდილი ღვინო და თავმოძროხედ უთხრა სტუმარს:

— აბა, ინებეთ; ნასეთ როგორია ჩემი მამულის ღვინო!

— თუთხმეტი წელიწადია, დაუძატათურმე მასშინძელმა, დაბუქდილ ბოთლებში მჭკს შენახული ეს ღვინო და ვერ არ მინახავს, მაგრამ წინ-და-წინ ვგრძნობ, რომ უსათუოდ მოგეწონებათო. როდესაც მოსამსახურემ ბოთლს თავი მოხსნა უცერად, დასწველას ღმერთმა, ბუზი ამოფრინდა ბოთლიდან!...

— როგორ მოგეწონათ ღვინო? ჰკითხა თურმე მასშინძელმა სტუმარს, როდესაც უკანასკნელმა გაშინჯა ნაჭები ნუნუს. არ გიკვირსთ, დაუძატა ტრანზისთ თავ. დ—ი გ—ელმა, რომ ამოდენა ხანს ასე მშენებრად შე-ნახულა ჩემი ღვინო!

— მიკვირს!—მიუგო თურმე სტუმარმა—მაგრამ ის უფრო მიკვირს, ბატონო, რომ თქვენში ბუზები ამ-დენს ხანს სიმღებენ და ისიც ბოთლებში დამწვევდუღე-ბია!—

თორელი

ორი ტრანზისი ვაჟ-ბატონები ბასობენ:

— წარმოადგინე, მე ჩემის ახლის ცხენით ერთს წამში სამა ვერსტი შემიძლიან გავარბინო!

— ეს იქნება ვერ შევიძლოვო, მიუგო მეორემ, მაგრამ ტყუილებს შენზე მეტს დავანარცხებო!

* * საზოგადოთ ცნობილია, რომ ქალაქის კინ-ტოლები მეტად ენა მოსწრებულნი არიან, ამასთანავე თუ-რმე ლექსებსაც „იგონებენ“ (თხზავენ). მართალია, ამ ლე-ქსებში არც „ტექს-ქეხილს“ ანც გულის და სულის დუღილსა არ შეხედება კაცი, მაგრამ მაინც საუურადღე-ბოა მათი მეზის შეთამაშება. აი მაგალითი: ორი კინ-ტო ერთი მეორის პირდაპირ სხედან და დახლოებით ასეთი ბასი აქვით:

— აბა, კაცული, თუ ბიჭი ხარ ერთი ლექსი მოა-გონე, მაგრამ იცი ნახევარი რუსული იყვეს ნახევარი ქა-რთული.

— რატომაც ვერ მოვიგონებ, ასეთს-ასეთს მოვი-გონებ, რომ სულ ახალი მოდნის იყვეს, და კაცულამ დაიწყო ექსპრომტიად:

ტეზე ნიკტო ნე ობდიტ,
კაგდა მინე ბლასკი ბუდიტ.
ტუოი კაცულ ქუდ მოხდილი
გეპედრება შონჯოლუსტა.
მოლავო არის ბეზ კოსტი,
ტუოი კაცულ ტეზე გოსტი,
შაზვოლ იამუ ადინ შროშტი,
ახ, მოი დეშა შონჯოლუსტა!
დღეს სეგოდნა ნი ხოლოდნა,
არც შენ იქნები გალოდნა,
ხელ გაყრილი არის მოდნა—
შადი კომნე შონჯოლუსტა!

როგორია, შეგვივლა კაცულამ, მგონი სულ ჯიგრე-ბი ავითამაშა; აბა თუ ბიჭი ხარ, ერთი შენც მოიგონე მაგისთანა, აბა ერთი მოუჭი შენს გოგრას იქნება რამე გამომტრეს.—

— ვა, ძალიან ნუ ტრანზისობ, მამა გინცხონდა, შენ თუ მოიგონე მე რა ვინის ჩანახალ ვარ რომ ჩამოგონე, და გეამ დაიწყო ექსპრომტი:

შრამუ უვას მე ნუკეში,
ვი შრამიტე შენს უბეში.
თუ შაბუდუ მე ჩემს დღეში,
ტაგდა ბუდუ სუმაშედი.
კაკ ია ვიყუ თვალთ მტკიავ,
სურცე მოია შენზე მივა.
განძმ ნე ალკა ჩემი თავა,
ქალაქისთვის შესართავი.
მე რომ თანხით დავდივარ
შაჩემ დღის ვას არ ვარგავარ?
არ მოგეწონება აი, რადაც სიამაყით დაახლოვო გეამ.

ქალაქელი.

თუმცა დიოგენს არ ვინ ემსახურებოდა, მა-გრამ ერთს დროში მასაც ჰყვანდა მონა, რომელიც გაუქდა. მეტობრები უწიკედნენ დიოგენს—მოისმებნო. სსაქმე სომ

ქალაქელი.
[Handwritten signature and notes]

790 წლისა

არ გამოკლევიათ? თუ მონას შეუძლიან უხემოთ ცხობ-
რება, მე კი უიძისათ ვერ გაკლდები?! მიუგო დიოკნმა.

* * * ერთსულ დიანისის მოუწავი სამუსი გაუძღვა
არსისტიკოს წინა და თავისი ხატრანის ჩინებული მარ-
მარლოთ აგებული მდიდრული სასახლე აჩვენა. არის-
ტიკოს უცბათ შედგა და თავის თანა მოგზაურს სასხე შე-
აფურთხა. სამუსი აირივს. ამე აქ იმისთანა ადგილი ვერ
ვპოვე; სადაც გამოფურთხვა შემძლებოდა! იმართლებდა
თავს არსტიკოსი.

ერთს მამს, რომელსაც უნდოდა თავისი შვიდი
არსტიკოსისთვის შევირდით მიუბარებინა, ფილანთოფოს-
მა კვიდლოთ სუთასი დრამი სთხოვა!! სუთასი დრამი?
შეკვივლა მამამ, მაგ ფასად სომ ერთ მონას ვიყიდი!

„მამ კარგი, მაგ ფულით ერთი მონაც იყიდე და
მამინ ორი მონა გუეოლებოა.“ — მიუგო არსტიკოსი.

«თეატრის» ფოსტა.

ბ — სს დოდაკე — მადარსკის. თქვენი ლექსი ვერ დაი-
ბეჭდა. მართალია, რითები და ლექსთა წყობა ცოტად მანც
დაცულია მაგრამ გრძობათა თანდათანობა სრულებით არ არის
უამისოთ კი ლირიული ლექსები. შეუძლებელია, სცადეთ კი-
დეგ.

ბ — სს ლ. დოდაკეობს. გამოდლობთ გამოგზავნილი-
სათვის; თავის დროზე დაბეჭდილი იქნება.

ბ — სს სხვა-და-სხვა პირებს, რომელნიც სჯავრობ-
ბენ ჩვენსე — რატომ წერილები არ დაგვიბეჭდეთო.
ბატონებო, უნდა იქონიოთ მხედველობაში და არა მარტო ამ შე-
მოხვევაში, არამედ სამუდამოთ, რომ ჩვენს გარდა წერილებს
სხვანაც სწინდებენ და აფასებენ და, ხშირად რაც ჩვენს «veto»-ს
ასცდება...

ქ — სს კ — გ — ვისაც გამადლობთ გამოგზავნილისა
თვის, თავის დროზე დაბეჭდილი იქნება.

თამარში ბ — სს სიმონ ლოლუას. თქვენი წერი-
ლი მივიღეთ — თხოვნა უკვე აღსრულებულია.

გორში ბ — სს თეატრის მუშას. თქვენი წერილი მი-
ვიღეთ; დიდათ ვწუხვართ, რომ თხოვნას ვერ გისრულებთ, სხვა
რომ არა იყოს-რა მარტო ფოსტა ორი მანეთი გვიჯდება წელიწადში.
ლექსებს დაბეჭდავთ თავის დროზე.

გორში ბ — სს ზაქეას. თქვენი ლექსები მივიღეთ,
იმედი გაქმს კვლავაც არ დაგვივიწყებთ. თხოვნა თქვენი აღს-
რულებული იქნება, მხოლოდ პირველ იანვრამდე. ერთი მეგობ-

რული რჩევაც: თქვენ, ჩვენისაზრით, უფრო გემარჯვებთ მოკლე
ლექსების წერა, მაგაში იქნება თქვენც ლაგვეთაზრით და ამი-
ტომ მხურად გთხოვთ და მეგობრულად გირჩევთ ჯერ-ჯერობით
თავი დაანებოთ დიდი ლექსების წერას... გზას ნუ აუხვევთ თქვენს
მოკლეს, მარტივს და გრძობით სავსე აზროვან ლექსებს...
გვერწმუნეთ, რომ ცუდს არაფერს გირჩევთ.

ბ — სს ბეს — კალ — ძეს. თქვენი პატრივტიული წერილი
მივიღეთ. ვასრულებთ დავალებულს. ტემრუკიდან და ზუგდიდიდან
არაფერი არ მოგვსვლია. დასასრულ განუხსნაფერელ მიდლობას
მოგახსენებთ —

რედაქტორ-გამომცემლის მატეირი ვადერთან გუნიას

გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა ნ ი

ქალს, რომელსაც აქვს შესრულებული
სწავლა ზეტერბურდის ინსტიტუტში, წმიდის
ეკატერინისა, ჭსურს იუოლიოს მხეირდები, ას-
წავლოს ან კამეორებინოს უოველს საგანსე,
ანუ ენებზე: ფრანციცულსა და ნემცეურსე. —
იკითხეთ: მინაილოვის ქუჩაში, სახლი № 82,
ერისთვისას.

ჩვეულებრივ წინა წლებისა ამ მომავალი მო-
გების 1 სექტემბრის 5⁰ სახელმწიფო მოგებანი შე-
იძლება შესუდულ იქმნენ დრო გამოშვებითი ფუ-
ლის შეტანით 31 აგვისტომდე. ბილეთების ნუმ-
რებს ტელეგრაფებით შევატყობინებთ. ბილეთე-
ბის მუიდეველებს შეუძლიანთ, თუ მათი სურვი-
ლიც იქნება, ჩაეწერონ თუნდაც მარტო სეგ-
ტემბრის მოგებაში. ბილეთების დასდგება ღირს
45 კაზ. გარეთ მცხოვრებლებს 17 მანეთის გამოგ-
ზავის შემდეგ დაუყოვნებლივ გაეგზავნებათ მოწ-
მობა ბადეთების სურათის 1⁰-ითა. თხოვნა შეუძ-
ლიანთ მოგვმართონ, აკენტს ბანკის ფირმისას
„კენტის ბლაკი“ ბ-ნს პ. მალიშკეს ქალ. თბილისში,
გოდლოვინის პროსპექტი, პაპიროსის მადანი
„ივერიაში“ დიდის 9 საათიდან 1 საათამდე და
სადამოს 5 საათ. 8 საათამდე.

მ. რევი
მ. გეგ